



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

„ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“, დოქტორანტურა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

13.05. 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ფილოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0232
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	სასწავლო კომპონენტის კრედიტები 60 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული; აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის N93 გადაწყვეტილებით  (შენიშვნა: პროგრამა შეიქმნა ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის დამლის შედევად)

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დარეჯან თვალთვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“ 2011 წელს შემუშავებული ინტერდისციპლინური პროგრამის ბაზაზე განახლდა 2021 წელს. სადოქტორო პროგრამა ხორციელდებოდა 2011 წლიდან და იყო „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის“ ნაწილი, ფილოლოგიის მიმართულება. 2011 წელს სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის N93 გადაწყვეტილებით მიიღო აკრედიტაცია 5 წლის ვადით. 2021 წელს სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა დაიშალა და მასში შემავალი მიმართულებები ჩამოყალიბდა ცალკეულ პროგრამებად. მათ შორის, ფილოლოგიის მიმართულებით შეიქმნა სადოქტორო პროგრამა „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“. განახლდა და დაკონკრეტდა სადოქტორო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები.

პროგრამის დეკლარირებული მიზნების მიხედვით, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა ემსახურება ახალგაზრდა მკვლევრებში სამეცნიერო ძიებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას უახლესი თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნის, მიდგომებისა და პრინციპების საფუძველზე. პროგრამა ქმნის პლატფორმას ადგილობრივ და საერთაშორისო მკვლევრებთან დიალოგში დოქტორანტების ჩართვისა და მათი დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის.

პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან, სასწავლო კრედიტი 60, მათ შორის, 36 სავალდებულო და 24 არჩევითი კრედიტისგან.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 7 22 0000249300 (11/03/2022) თანახმად, შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი

შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, დარეჯან თვალთვაძე. ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შესაფასებლად წარმოდგენილ პროგრამას და თანმხლებ დოკუმენტებს; პროგრამის შეფასებისას უნივერსიტეტიდან გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტებიც.

შემოწმდა პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის I, II და IV სტანდარტებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია, ნათლად ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგები, რომ მასში მკაფიოდ ჩანდეს ცოდნა - გაცნობიერების კომპონენტი.
- მიზანშეწონილია, სადოქტორო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის დეტალური სფეროს განშტოებები განისაზღვროს კლასიფიკატორის მიხედვით და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ლიტერატურისა და ლინგვისტიკის (0322) და ენის დაუფლების (0321) სფეროები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამაში მონაწილე პროფესორების კვლევით ინტერესებთან ერთად მითითებული იყოს დოქტორანტების საკვლევო მიმართულებები.
- სასურველია, დაკონკრეტდეს პროგრამის ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულების კვლევის თემატიკა.
- მნიშვნელოვანია, სადოქტორო პროგრამაში დაზუსტდეს მიღების წინაპირობის საკითხი და განისაზღვროს, აქვს თუ არა დამატებითი მოთხოვნები სადოქტორო პროგრამას უცხო ენებთან დაკავშირებით.
- სასურველია დაზუსტდეს სადოქტორო პროგრამის წინაპირობები და მიღების წინაპირობად განისაზღვროს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი და სოციალური მეცნიერებებიდან კონკრეტული, ფილოლოგიის დარგთან და უმაღლესი განათლების მესამე საფეხურთან შესაბამისი სპეციალობები.
- მიზანშეწონილია უცხო ენებთან დაკავშირებით სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებისა და სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულების ჩანაწერის შესაბამისობაში მოყვანა.

- მიზანშეწონილია, არჩევით კურსებს დაემატოს სასწავლო კურსები ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი და ექსპერტთა პოზიცია

ექსპერტთა მიერ გამოითქვა გაიცა სამი რეკომენდაცია და ექვსი რჩევა. დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი ეხებოდა მხოლოდ ექსპერტთა მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებს.

1. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების დაზუსტებას და მის ჩამოყალიბებას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით: „რეკომენდებულია, დაზუსტდეს სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით შემდეგი კომპონენტების: ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, მიხედვით“.

აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულება მიიჩნევს, რომ „სწავლის შედეგები უნდა იყოს ჩამოყალიბებული მეტად კუმულირებული სახით, რათა თავიდან იყოს აცილებული მათი ზედმეტი ფრაგმენტაცია და დეტალიზაცია. აქვე დავამატებთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტით არ არის მოთხოვნილი პროგრამების სწავლის შედეგების განსაზღვრა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მოცემული სამი კომპონენტის (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) მიხედვით, არამედ ითვალისწინებს მათ შესაბამისობას კვალიფიკაციის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, პროგრამის სწავლის შედეგები, ზემოთ ჩამოთვლილი სამივე კომპონენტის გათვალისწინებით, ჩამოაყალიბოს სამ კატეგორიად დაყოფის გარეშე. აქვე დავამატებთ, რომ სხვადასხვა სფეროს ფარგლებში შემუშავებული უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებშიც მოცემულია ჩანაწერები, რომელთა თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია სწავლის შედეგები იყოს ჩამოყალიბებული განსხვავებული სტრუქტურით და ფორმულირებით და არ იყოს გათვალისწინებული მათი დაყოფა სამ კატეგორიად შესაბამისად, აღნიშნულ რეკომენდაციას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ რჩევის ხასიათი“.

ექსპერტთა აზრით, მართალია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოაყალიბოს სამ კატეგორიად (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა)

დაყოფის გარეშე, მაგრამ ერთიანი ჩამონათვალის შემთხვევაშიც სწავლის შედეგები უნდა მოიცავდეს დოქტორანტიისთვის მიცემულ ცოდნასა და მის გააზრება-გაცნობიერებას, რაც აღნიშნული პროგრამის შედეგებში მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის. პროგრამის სწავლის შედეგებში აქცენტი კეთდება უფრო იმ უნარებზე, რომლებსაც კურსდამთავრებული გამოიმუშავებს (აქვს ენათმეცნიერების და/ან ლიტერატურათმცოდნეობის კვლევითი მიმართულებების ფარგლებში თეორიული და გამოყენებითი მიდგომების განვითარების უნარი; შეუძლია ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების, ბიბლიოგრაფიის შედგენა, ორიგინალური მასალის მოძიება და კრიტიკული ანალიზი; ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობა ახალი ცოდნის შექმნა/გაზიარების მიზნით, კვლევის შედეგების საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვა და ცოდნის ტრანსფერი სააუდიტორიო სწავლების პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით), თუმცა, იგულისხმება, რომ კურსდამთავრებულმა, რომელსაც „შეუძლია ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება შესაბამისი ახალი თეორიებისა და მიდგომების გაანალიზებისა და შეფასების საფუძველზე, ინოვაციური მეთოდების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით“, იცის ახალი თეორიები და მიდგომები, აანალიზებს და ახდენს მათ შეფასებას და იცნობს ინოვაციურ მეთოდებსაც, რომლებსაც იყენებს ორიგინალური კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის და აქვს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების ცოდნაც, რომლის გამოყენება შეუძლია „სააუდიტორიო სწავლების პროცესში ცოდნის ტრანსფერისას“. ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია პროგრამაში უნარებთან ინტეგრირირებულად წარმოდგენილი სწავლის შედეგების ამ კომპონენტის (ცოდნა-გაცნობიერება) უფრო ნათლად ჩამოყალიბების სურვილის ეფუძნება. შესაბამისად, რეკომენდაცია ფორმულირდა შემდეგნაირად: რეკომენდებულია, უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგები, რომ მასში მკაფიოდ ჩანდეს ცოდნა - გაცნობიერების კომპონენტი.

2. რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამის დასაქმების სფეროები კვალიფიკაციის შესაბამისად.

აღნიშნული რეკომენდაცია ეხება სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროდ არქივის დასახელებას, სადაც საქმიანობის წესები განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის N174 ბრძანებით („დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“) და ითვალისწინებს სამამულო საარქივო საქმის გამოცდილების არსებობას. სადოქტორო პროგრამის მიზნებში, ამოცანებსა და შინაარსში გათვალისწინებული არ არის საარქივო მიმართულებით რამე სახის გამოცდილება, რის გამოც მიზანშეწონილად ჩაითვალა, დასაქმების სფეროების დაზუსტება კვალიფიკაციის შესაბამისად.

ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ პასუხში აღნიშნულია, რომ სადოქტორო პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი დასაქმების სფეროები განისაზღვრა დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე და საქართველოში არსებული სხვა უმაღლესი დაწესებულებების ანალოგიური პროგრამების გამოცდილების გაზიარებით. ხაზგასმულია ისიც, რომ პროგრამის დასაქმების სფეროები სრულ შესაბამისობაშია „ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის“ კვალიფიკაციასთან.

ექსპერტთა შეხედულებით, უნივერსიტეტის პასუხი გასათვალისწინებელია. მიგვაჩნია, რომ ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ადამიანისთვის დამღვევადია ის რეგულაციები, რომლებიც წაყენებულია ზემოთ დასახელებულ ბრძანებაში. ამავდროულად, აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი დაწესებულება (მათ შორის, არქივიც) თავად უზრუნველყოფს დასაქმებულის პროფესიულ განვითარებას/გადამზადებას სამუშაო ადგილზე. გარდა ამისა, არქივების ერთ ნაწილს აქვს კვლევითი განყოფილებაც (მაგ. ეროვნულ არქივს), სადაც ფილოლოგიის დოქტორს შეუძლია იმუშავოს, როგორც მკვლევარმა.

3. მიზანშეწონილია, სადოქტორო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის დეტალური სფეროს განშტოებები განისაზღვროს კლასიფიკატორის მიხედვით და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ლიტერატურისა და ლინგვისტიკის (0322) და ენის დაუფლების (0321) სფეროები.

აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ გაზიარებულია დაწესებულების მხრიდან. უსდ-ს განმარტებით, „მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“ არ გულისხმობს ენების შესწავლას ენის დაუფლების (ფლობის დონის ამადლების) მიზნით. ის ცალსახად ორიენტირებულია სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული - ლიტერატურისა და ლინგვისტიკის (0232) - სფეროს კვლევაზე“. ამასთან, დაწესებულება მიუთითებს, რომ „ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, ფრაზა „*მეორე ენის დაუფლება*“ ამოღებული იქნება სადოქტორო პროგრამის აღწერიდან“.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“ 2011 წელს შემუშავებული ინტერდისციპლინური პროგრამის ბაზაზე განახლდა 2021 წელს. სადოქტორო პროგრამა ხორციელდებოდა 2011 წლიდან და იყო სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის ნაწილი (ფილოლოგიის მიმართულება). 2011 წელს აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის N93 გადაწყვეტილებით სადოქტორო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია 5 წლის ვადით. სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა დაიშალა და მასში შემავალი მიმართულებები ჩამოყალიბდა ცალკეული პროგრამების სახით. მათ შორის, შეიქმნა სადოქტორო პროგრამა „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“. პროგრამის დეკლარირებული მიზნების მიხედვით, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა ემსახურება ახალგაზრდა მკვლევარებში სამეცნიერო ძიებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას უახლესი თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნის, მიდგომებისა და პრინციპების საფუძველზე. და მიზნად ისახავს ისეთი კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებიც: შეძლებენ პროგრამის ერთ-ერთი კვლევითი მიმართულებით ახალი ცოდნის შექმნას და ამით ენათმეცნიერების ან ლიტერატურათმცოდნეობის დარგის განვითარებაში წვლილის შეტანას; მოახდენენ ცოდნის დადასტურებას საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის დონეზე; მზად იქნებიან წარმატებული კარიერისთვის, როგორც აკადემიურ სფეროში, ისე მის ფარგლებს გარეთ. პროგრამა ქმნის პლატფორმას ადგილობრივ და საერთაშორისო მკვლევრებთან დიალოგში დოქტორანტების ჩართვისა და მათი დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის.



სადოქტორო პროგრამის მისიაა გააღრმავოს და გააფართოვოს ადგილობრივ დონეზე არსებული ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის შესაძლებლობები, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო მიდგომებს და უახლეს ტენდენციებს. შესაბამისად, ის ორიენტირებულია უცხო ქვეყნების უნივერსიტეტებთან და მეცნიერებთან თანამშრომლობით შექმნას მაღალი ხარისხის კვლევითი გარემო.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საერთაშორისო თანამშრომლობა უცხოელ პროფესორებთან. უნივერსიტეტის მიერ შესრულებული მონიტორინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ უცხოელი პროფესორების თანამშრომლობა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია რამდენიმე მიმართულებით. მათ შორის, პირველი მიმართულებაა შემდეგი: „პროგრამის კურიკულუმის გაუმჯობესება და განვითარება დარგში არსებული მიღწევებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით“.

პროგრამის დახასიათებისას აღნიშნულია პროგრამის მონაწილე პროფესორების კვლევითი ინტერესები, თუმცა არ არის მითითებული, თუ რა იქნება დოქტორანტების საკვლევი მიმართულებები.

სადოქტორო პროგრამა შედგება ორი მიმართულებისაგან: ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა. ენათმეცნიერული კვლევა იყოფა სამ ნაწილად: ზოგადი ენათმეცნიერება, გამოყენებითი ენათმეცნიერება და ინტერდისციპლინური კვლევები. აღნიშნულ კვლევებში არ გვხვდება კონკრეტული ენების, მათ შორის, ქართული, ქართველური, კავკასიური და სხვ. ენების, ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური და სხვ. კვლევები. ლიტერატურათმცოდნეობით მიმართულების კვლევით ფოკუსში აღნიშნულია ფიქციური და ნახევრადფიქციური ტექსტების (ე.წ. „მეორადი სემიოტიკური სისტემის“) პოეტური და ესთეტიკური მახასიათებლები, თუმცა არ არის ასახული ლიტერატურის ისტორიის, მათ შორის, ქართული ლიტერატურის, ასევე, ლიტერატურული ურთიერთობების, ცალკეული ქვეყნებისა და ეპოქების, ლიტერატურული მიმდინარეობების მიმართულებები. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებიდან გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის, სადოქტორო პროგრამის კვლევის სფეროების ჩამონათვალი. დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულების კვლევითი სფეროებია: 1. ნარატოლოგია, 2. იმაგოლოგია და ლიტერატურის ინტერკულტურული კვლევები, 3. ლიტერატურა როგორც კოლექტიური მეხსიერების მედია, 4. ლიტერატურის ინტერმედიალური კვლევები, 5. ქართული ლიტერატურის სოციალური ისტორია. სასურველია, დაკონკრეტდეს პროგრამის ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულების კვლევის თემატიკა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებაში იგულისხმება სხვადასხვაენოვანი ლიტერატურული ტექსტების დამუშავება და მათი ანალიზი, რაც ასახულია პროგრამაში ჩართული პროფესორების კვლევითი ინტერესებში, თუმცა პროგრამის წინაპირობით მოითხოვება მხოლოდ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სადისერტაციო საბჭოს

დებულებაში მითითებულია შემდეგი: „6.4 გერმანული ენის ძირითად ენად ჩაბარება შესაძლებელია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მხოლოდ ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამასა და კულტურის კვლევებისა და **ფილოლოგიის მიმართულებებზე**; (ცვლილება 18.07.2018) 6.5.გერმანული ენის არჩევის შემთხვევაში აპლიკანტს მოეთხოვება დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B1 დონეზე. ტესტირების მინიმალური ზღვარი დგინდება ყოველი პროგრამისთვის ინდივიდუალურად, მიეთითება პროგრამაზე მიღების პირობებში და მიღების გამოცხადების შესახებ ფაკულტეტის წარდგინებაში (ცვლილება 18.07.2018). 6.7. **ინგლისური ან გერმანული ენის ცოდნის** დამადასტურებელი ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატების შესაბამისი დონეები და ქულები გაიწერება ცალკეული პროგრამების კურიკულუმებში; (ცვლილება 18.07.2018). მნიშვნელოვანია, სადოქტორო პროგრამაში დაზუსტდეს მიღების წინაპირობის საკითხი და განისაზღვროს აქვს თუ არა დამატებითი მოთხოვნები სადოქტორო პროგრამას უცხო ენებთან დაკავშირებით.

პროგრამის მიზნები ზოგადად, მაგრამ ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმასთან, გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის, ფილოლოგიის დარგის და სახელმწიფოს/საზოგადოების განვითარების მოთხოვნები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
  - სასურველია პროგრამაში მონაწილე პროფესორების კვლევით ინტერესებთან

ერთად მითითებული იყოს დოქტორანტების საკვლევი მიმართულებები.

- სასურველია, დაკონკრეტდეს პროგრამის ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულების კვლევის თემატიკა.
- მნიშვნელოვანია, სადოქტორო პროგრამაში დაზუსტდეს მიღების წინაპირობის საკითხი და განისაზღვროს აქვს თუ არა დამატებითი მოთხოვნები სადოქტორო პროგრამას უცხო ენებთან დაკავშირებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერებისა და

ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებში გაწერილია შემდეგი კომპონენტები: დოქტორანტს „აქვს ენათმეცნიერების და/ან ლიტერატურათმცოდნეობის კვლევითი მიმართულებების ფარგლებში თეორიული და გამოყენებითი მიდგომების განვითარების უნარი;

შეუძლია ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება შესაბამისი ახალი თეორიებისა და მიდგომების გაანალიზებისა და შეფასების საფუძველზე, ინოვაციური მეთოდების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

კვლევითი ამოცანის საჭიროებიდან გამომდინარე შეუძლია ბიბლიოგრაფიის შედგენა, ორიგინალური მასალის მოძიება და კრიტიკული ანალიზი;

ახალი ცოდნის შექმნა/გაზიარების მიზნით, შეუძლია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობა, მათ შორის, კვლევის შედეგების საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვის გზით; შეუძლია ცოდნის ტრანსფერი სააუდიტორიო სწავლების პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით“.

სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან; გაწერილია ზოგადად და, ძირითადად, ორიენტირებულია უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტებზე, თუმცა არ ჩანს ცოდნისა და გაცნობიერების კომპეტენციები, რაც სწავლის შედეგებში უნდა იყოს დეკლარირებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ დასაქმების სფეროებში ჩამონათვალში მითითებულია კვალიფიკაციისათვის ნაკლებად შესაბამისი დაწესებულებები, მაგალითად, არქივი, და სხვ. არქივებში დასაქმებასთან დაკავშირებით დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ცნობილია, „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის N174 ბრძანების მიხედვით განსაზღვრულია საქმიანობა და წესები, ითვალისწინებს სამამულო საარქივო საქმის გამოცდილებას, დოკუმენტებზე მუშაობის თანამედროვე მიღწევებს ტექნიკური საშუალებებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც მოითხოვს დამატებით მომზადებას და არ შედის წარმოდგენილი პროგრამის მიზნებსა და ამოცანებში, ასევე სასწავლო კურსების შინაარსში.

პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფილოლოგიის დოქტორი (0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა) მეტწილად შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან და პროგრამა თავისი შინაარსითა და სტრუქტურით უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, მაგრამ მისანიჭებელ ხარისხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: სწავლის სფეროების კლასიფიკატორში ფილოლოგიის მიმართულებით აღნიშნულია ორი კვალიფიკაცია: 0231 - ენის დაუფლება, რომელიც შეისწავლის იმ ენის სტრუქტურასა და კომპოზიციას, რომელიც ისწავლება როგორც მეორე ან უცხოური ენა. ის მოიცავს შესაბამისი კულტურის, ლიტერატურის, ლინგვისტიკის და ფონეტიკის შესწავლასაც, თუ ეს დისციპლინები დაკავშირებულია შესასწავლ ენასთან და წარმოადგენს პროგრამის ან კვალიფიკაციის ნაწილს. ეს დეტალური სფერო ასევე მოიცავს კლასიკურ და მკვდარ ენებს. აღნიშნულ დეტალურ სფეროში გასაზღვრულია ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, სლავური ფილოლოგია, ლექსიკოგრაფია,

თარგმანმცოდნეობა და სხვ. სწავლის დეტალური სფერო 0232 (ლიტერატურა და ლინგვისტიკა) ამ დეტალური სფეროს მიზნებისთვის განმარტებულია, როგორც თავისუფლად მოსაუბრე პირებისთვის ენ(ებ)ის შესწავლა მშობლიურ ან სწავლების ენაზე. ის მოიცავს შესაბამისი ლიტერატურისა და ლინგვისტიკის შესწავლას. შეიძლება მოიცავდეს ენის სტრუქტურასა და კომპოზიციას. მოიცავს ზოგად ლინგვისტიკას, ლიტერატურათმცოდნეობას და კონკრეტული ენის შესწავლის გარეშე შედარებით ლიტერატურათმცოდნეობას. აღნიშნული კვალიფიკაციაში განსაზღვრულია ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ლინგვისტიკა/ენათმეცნიერება, ქართველური ენათმეცნიერება, ლიტერატურა/ქართული ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა / ლიტერატურის შედარებითი კვლევები ( მისანიჭებელი კვალიფიკაციები: ფილოლოგიის დოქტორი/ ქართული ფილოლოგიის დოქტორი/აფხაზური ფილოლოგიის დოქტორი).

სადოქტორო პროგრამაში დეკლარირებულია, რომ პროგრამის კვლევითი ფოკუსი ორ ძირითად ნაწილად იყოფა: I. ენათმეცნიერული კვლევა, რომლის სამიზნეა: 1. ზოგადი ენათმეცნიერება (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სემანტიკა, პრაგმატიკა და მათი ურთიერთგადაკვეთის წერტილები); 2. გამოყენებითი ენათმეცნიერება (შეპირისპირებითი ენათმეცნიერება, ჟესტური ენა, მეორე ენის ათვისება, კორპუსის ენათმეცნიერება, სტილისტიკა); 3. ინტერდისციპლინული კვლევები (თარგმანის კვლევა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა და სხვ.). II. ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევა, რომლის სამიზნეა ფიქციური და ნახევრადფიქციური ტექსტების (ე.წ. „მეორადი სემიოტიკური სისტემის“) პოეტური და ესთეტიკური მახასიათებლები. ამავდროულად, დაწესებულების მიერ მომზადებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ პროგრამის მოდიფიცირების შემდეგ „პროგრამის კვლევის არეალი შინაარსობრივად არ შეცვლილა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა დაიშალა და მასში შემავალი თითოეული მიმართულება ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ პროგრამად, სადოქტორო პროგრამაში - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა - დაკონკრეტდა გარკვეული საკითხები, მათ შორის, განისაზღვრა კვლევის სფეროები“. კვლევის სფეროებად დასახელებულია შემდეგი: „ქართველური ენათმეცნიერება, ქართული ლიტერატურა / ქართული ლიტერატურის ისტორია, ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია, ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ლექსიკოგრაფია, თარგმანმცოდნეობა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა / ლიტერატურის შედარებითი კვლევები, ჟესტური ენა“. კვლევის ჩამოთვლილი სფეროები არ არის ასახული სადოქტორო პროგრამაში, არ ჩანს ცალკეული ენებისა და ლიტერატურების, მათ შორის, ქართველური ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურის, ან ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევითი სფეროები (ჩამოთვლილია მხოლოდ ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორების კვლევითი ინტერესების სფეროები: ქართველური ენათმეცნიერება, ქართული ლიტერატურა / ქართული ლიტერატურის ისტორია, ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია,

ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ლექსიკოგრაფია, თარგმანმცოდნეობა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა / ლიტერატურის შედარებითი კვლევები, ჟესტური ენა).

სადოქტორო პროგრამის სწავლების სფეროს და კვლევის მიმართულებების შესახებ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დასაზუსტებლად ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისაგან დამატებით გამოითხოვა დოკუმენტები, მათ შორის, დოქტორანტების დამტკიცებული სადისერტაციო ნაშრომების ჩამონათვალი; დაცული სადისერტაციო ნაშრომების ჩამონათვალი; დაცული დისერტაციების რეცენზიის ნიმუში და სხვ. სადოქტორო პროგრამის ძირითადი შინაარსი მეტწილად შესაბამისობაში აღმოჩნდა პროგრამაში მითითებულ სწავლის დეტალურ სფეროსთან (0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა), თუმცა, რადგან ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა: ლექსიკოგრაფია და თარგმანმცოდნეობა, მეორე ენის ათვისება, ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით სხვა ვიწრო სფეროს (023 ენები) განშტოებას, კერძოდ, ენის დაუფლების დეტალურ სფეროს (0231) განეკუთვნება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესასწავლი ენის მიხედვით კონკრეტდება (მაგ. ინგლისური ფილოლოგიის დოქტორი, გერმანული ფილოლოგიის დოქტორი ა. შ). მიზანშეწონილია, სადოქტორო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის დეტალური სფეროს განშტოებები განისაზღვროს კლასიფიკატორის მიხედვით და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ლიტერატურისა და ლინგვისტიკის (0322) და ენის დაუფლების (0321) სფეროები. თვითშეფასების ანგარიშში მისანიჭებელი ხარისხის დასახელებისას ტექნიკური შეცდომაა გაპარული, მითითებულია არასწორი კოდი: წერია „კურსდამთავრებულს ენიჭება ფილოლოგიის დოქტორის კვალიფიკაცია (0312), უნდა იყოს 0232.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ;

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;

სწავლის სფეროების კლასიფიკატორი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- რეკომენდებულია, უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგები, რომ

მასში მკაფიოდ ჩანდეს ცოდნა - გაცნობიერების კომპონენტი.

- მიზანშეწონილია, სადოქტორო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის დეტალური სფეროს განშტოებები განისაზღვროს კლასიფიკატორის მიხედვით და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ლიტერატურისა და ლინგვისტიკის (0322) და ენის დაუფლების (0321) სფეროები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის	X			

შესაბამისობა				
--------------	--	--	--	--

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში;

წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში, ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე დადასტურების მიზნით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (მინიმუმ B2 დონის შესაბამისი) ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი;

დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც სურს ქართულენოვან პროგრამაზე სწავლა, დამატებით მოეთხოვება ქართული ენის გამოცდის ჩაბარება შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფარგლებში ან ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა (მინიმუმ B2 დონეზე);



სადოქტორო კვლევითი განაცხადი;

ზეპირი გამოცდა.

დოქტორანტურაში პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობითაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, პროგრამის წინაპირობების დაცვით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია. წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სადოქტორო პროგრამის წინაპირობის მიხედვით პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვს ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში მაგისტრის ხარისხის მქონე პირს. როგორც ცნობილია, სოციალური მეცნიერებები მოიცავს შემდეგ დარგებს: ჟურნალისტიკა და ინფორმაცია, ეკონომიკა, პოლიტიკის მეცნიერებები, ფსიქოლოგია და სხვ. პროგრამის დეკლარირებული მიზნების მიხედვით, დოქტორანტს მოეთხოვება ფილოლოგიის დარგში, ენათმეცნიერების ან ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით ახალი ცოდნის, ახალი შეხედულებების შექმნა უახლესი თეორიებისა და მიდგომების, კვლევის თანამედროვე მეთოდების მიხედვით. რაც შეიძლება ძნელად მისაღწევი აღმოჩნდეს სოციალური მეცნიერებების მაგისტრისათვის, რომელსაც არ ექნება სწავლის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიღების წინაპირობას წარმოადგენს დოქტორანტის კვლევის განაცხადი და ზეპირი გამოცდა, რომელიც ზეპირი განაცხადის პრეზენტაციას წარმოადგენს და მისი მიზანი არ არის დადგინდეს აპლიკანტის ცოდნა და კვალიფიკაცია ფილოლოგიის დარგში. ამასთან, ხაზგასასმელია ისიც, რომ დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება კვლევითი განაცხადი, რომელიც შეამოწმებს დოქტორანტობის კანდიდატის უნარებსა და მოტივაციას დარგის კვლევაში. კვლევითი განაცხადი შედგება მნიშვნელოვანი კომპონენტებისაგან, როგორებიც არის ლიტერატურის მიმოხილვა, საკვლევი პრობლემის მოკლე ანალიზი, კვლევის მიზანი და სხვ.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები დეტალურად არის გაწერილი და ხელმისაწვდომია ყველა მსურველისთვის. სადოქტორო კვლევის განაცხადის ფორმა და შეფასების კრიტერიუმები საშუალებას იძლევა დადგინდეს რამდენად მკაფიოდ არის განსაზღვრული სადოქტორო პროგრამის აპლიკანტის მიერ საკვლევი თემა/პრობლემა; რამდენად სწორად ასახავს მიმოხილვა არსებულ ცოდნას საკვლევი თემის/პრობლემის შესახებ, რამდენად თანმიმდევრულია მიმოხილვა, რამდენად სწორად არის შერჩეული წყაროები, მეთოდოლოგია, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კვლევის მიზანი და შეესაბამება თუ არა საკვლევი კითხვა/კითხვები ან/და ჰიპოთეზა კვლევის მიზანს, რამდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული კვლევის შედეგების წვლილი დარგის განვითარებაში.

სადოქტორო პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება (შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში ან საერთაშორისო სერტიფიკატი, ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო

პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი). ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაში არსებული ეს ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულების 6.4 და 6.5 მუხლებთან, რომელიც უშვებს გერმანული ენის ჩაბარებაც (6.4. გერმანული ენის ძირითად ენად ჩაბარება შესაძლებელია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მხოლოდ ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამასა და კულტურის კვლევებისა და ფილოლოგიის მიმართულებებზე; 6.5. გერმანული ენის არჩევის შემთხვევაში აპლიკანტს მოეთხოვება დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B1 დონეზე. ტესტირების მინიმალური ზღვარი დგინდება ყოველი პროგრამისთვის ინდივიდუალურად, მიეთითება პროგრამაზე მიღების პირობებში და მიღების გამოცხადების შესახებ ფაკულტეტის წარდგინებაში (ცვლილება 18.07.2018). მიზანშეწონილია სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების და სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულების აღნიშნული ჩანაწერის შესაბამისობაში მოყვანა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ; სადოქტორო კვლევითი განაცხადის გაფორმების ინსტრუქცია,

სადოქტორო კვლევითი განაცხადის ფორმა და შეფასების კრიტერიუმები

ზეპირი გამოცდის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები

სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულება.

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაზუსტდეს სადოქტორო პროგრამის წინაპირობები და მიღების წინაპირობად განისაზღვროს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი და

<p>სოციალური მეცნიერებებიდან კონკრეტული, ფილოლოგიის დარგთან და უმაღლესი განათლების მესამე საფეხურთან შესაბამისი სპეციალობები.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიზანშეწონილია უცხო ენებთან დაკავშირებით სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებისა და სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულების ჩანაწერის შესაბამისობაში მოყვანა.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b></p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>1. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს. მათ შორის სავალდებულო 36 კრედიტი (საიდანაც დოქტორანტი 6 კრედიტი უნდა აიღოს სავალდებულო-არჩევითი ბლოკიდან მისი კვლევის მიმართულების შესაბამისად (ლიტერატურა ან ენათმეცნიერება) და 24 კრედიტი - არჩევითი, საიდანაც დოქტორანტი იღებს კურსებს თავისი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით. სურვილის შემთხვევაში დოქტორანტს შეუძლია სავალდებულო არჩევითი საგნების ბლოკიდან თავისი მიმართულების მომიჯნავე კურსის გავლა. ასევე, მას შეუძლია გაიაროს კურსი ილიას უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სადოქტორო პროგრამებიდან. პროგრამაში მოცემულია დეტალური ინფორმაცია კომპონენტებისა და კრედიტების განაწილების შესახებ.

სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს 2 სადოქტორო სემინარს. სადოქტორო სემინარების ფარგლებში, პირველი წლის განმავლობაში დოქტორანტები ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად მუშაობენ პროსპექტუსზე. პროსპექტუსი მუშავდება სადოქტორო პროგრამაზე მიღებისას წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე. დასრულებულ პროსპექტუსს დოქტორანტი იცავს დარგობრივი კომისიის წინაშე სწავლების პირველი წლის ბოლოს.

კურიკულუმის სავალდებულო კომპონენტია ასისტირება, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში, დოქტორანტის კვლევის პროგრესზე უკეთ დაკვირვებისა და მისთვის თანმიმდევრული უკუკავშირის მიღების მიზნით, პროგრამის სტრუქტურაში შეტანილია კოლოკვიუმების სერია, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და მის შედეგზე ორიენტირებულობას. მისი მიზანია კვლევასთან დაკავშირებული ავტონომიურობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება. სადოქტორო პროგრამის აუცილებელი პირობაა საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში პუბლიკაციის გამოქვეყნება. სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სადისერტაციო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტში (იხ. სადისერტაციო ნაშრომის კონცეფცია).

სადოქტორო პროგრამა მოიცავს 10 სემესტრს, 5 წელს. საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, მიხედვით, მუხლი 46. აკადემიური უმაღლესი განათლებისა და მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების საფეხურები გ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ;

სადისერტაციო ნაშრომის კონცეფცია

სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულება.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს. მათ შორის სავალდებულო 36 კრედიტი (საიდანაც დოქტორანტმა 6 კრედიტი უნდა აიღოს სავალდებულო-არჩევითი ბლოკიდან მისი კვლევის მიმართულების შესაბამისად (ლიტერატურა ან ენათმეცნიერება) და 24 კრედიტი - არჩევითი, საიდანაც დოქტორანტი იღებს კურსებს თავისი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით. სურვილის შემთხვევაში დოქტორანტს შეუძლია სავალდებულო არჩევითი საგნების ბლოკიდან თავისი მიმართულების მომიჯნავე კურსის გავლა. ასევე, მას შეუძლია გაიაროს კურსი ილიას უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სადოქტორო პროგრამებიდან.

სავალდებულო კომპონენტებია:

სადოქტორო სემინარი 1 (6 კრედიტი)

სადოქტორო სემინარი 2 (6 კრედიტი)

კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში (6 კრედიტი)

ასისტირება (12 კრედიტი)

სადოქტორო კოლოკვიუმები

სადისერტაციო ნაშრომი

სავალდებულო არჩევითი კომპონენტებია მიმართულების მიხედვით:

ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები (6 კრედიტი)

ლინგვისტური კვლევის მეთოდები (6 კრედიტი)

არჩევითი კომპონენტები არის 24 კრედიტი:

კორპუსის ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები (12 კრედიტი)

Writing for Academic Publication (6 კრედიტი)

ქესტური ენები (6 კრედიტი)

თარგმანის კვლევის მეთოდები (6 კრედიტი)

კომპიუტერული ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები (12 კრედიტი)

სავალდებულო სასწავლო კურსი, დოქტორანტის სემინარი 1 და დოქტორანტის სემინარი 2 წარმოადგენს კვლევით კომპონენტს, რომლის მიზანია დაეხმაროს დოქტორანტს გააცნობიეროს სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე

შერჩეული საკვლევი პრობლემის/საკითხის შესახებ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროება და შესაძლებლობები. კომპონენტი ფოკუსირებულია საკვლევი პრობლემის/საკითხის უახლესი კვლევების საფუძველზე შექმნილი ახალი ცოდნის, გამოყენებული მიდგომებისა და კონცეფციების ანალიზსა და შეფასებაზე. აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში ხდება დოქტორანტის საკვლევ პრობლემატიკაზე მუშაობა, დოქტორანტი ხელმძღვანელთან/ებთან ერთად ეტაპობრივად იმუშავებს სადისერტაციო კვლევითი პროექტის ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებზე, როგორც არის საკვლევი პრობლემა, მისი აქტუალურობის დასაბუთება, რელევანტური ლიტერატურის/ წყაროების შერჩევა, ლიტერატურის მიმოხილვის რუკა/სქემა, ბიბლიოგრაფია, კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა/ები (საჭიროების შემთხვევაში ჰიპოთეზა). დოქტორანტის სემინარი 2 გულისხმობს სადოქტორო კვლევითი პროექტის მეოთხე შუალედური ანგარიშის მონახაზის წარდგენის და დაცვის პერიოდები განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დოქტორანტისთვის.

